- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დაფარვას დაექვემდებარება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. კომპანია ყველა დანარჩენ ვალდებულებას „გრძელვადიან ვალდებულებად“ თვლის. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად ითვლება.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას. მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრაში გამოყენებული მოსაზრება შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. ჯგუფის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით.

შპს ელ არ ჯი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით.

ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება ამ მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით“, „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით“.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL)

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

შპს ელ არ ჯი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. სავაჭრო მოთხოვნებისათვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულსა და ფულის ეკვივალენტებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ თანხებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არიან ისეთი ერთეულები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადი უკვე განსაზღვრული თანხის ფულად ერთეულებად და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების დონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (ი) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

შპს ელ არ ჯი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად.

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება. ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნეტო ღირებულებით წარდგენა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც ჯგუფმა გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე არ არის ილენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება რადგან ისინი ჩამოწერილია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად და მიმდინარე მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

ჯგუფის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული მოთხოვნების ანალიზს და მის შესაბამის დარეზერვებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO ღირებულების მეთოდით.

მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების თვითღირებულების ხარჯი დგინდება FIFO მეთოდის საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

ჯგუფის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების შინაარსიდან გამომდინარე ისინი არ შეიცავს არსებითი ღირებულების არა ბრუნვად მარაგებს, ამავდროულად ასეთი მარაგები საჭიროა გაყიდვების ციკლის უწყვეტად სამართავად. პერიოდის მარაგების ანარიცხები შედგება იმ დაზიანებული მარაგის ღირებულებისგან, რომელზეც ჯგუფი აღარ მოელის მის შემდგომ რეალიზაციას.

შპს ელ არ ჯი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დამატებითი ღირებულების გადასახადი

შესრულებულ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. მიღებული ავანსებზე გადასახდელი ვალდებულებები საგადასახადო ორგანოსთან დაბეგრას ექვემდებარება თანხის ფაქტიურად მიღების დროს, რა დროსაც შესრულებულია საგადასახადო ვალდებულება და მასთან ერთად წარმოიქმნება აქტივი წინასწარ გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის შესაბამისად. აღნიშნული აქტივი გამოყენებას ექვემდებარება ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების დროს წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების დროს, როდესაც მოხდება იმ მომსახურების მიწოდება, რომლის სანაცვლოდაც მიღებულია ავანსი.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგრვა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, ჯგუფმა ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. ჯგუფის მიერ აგებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად) და მათზე ცვეთა ცალკე ირიცხება, შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების განკარგვით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის შედარებით და მოგება-ზარალში აღიარდება სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

შპს ელ არ ჯი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

• შენობა-ნაგებობა	20 წელი
• მანქანა-დანადგარები	5 წელი
• ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
• ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
• მარკეტინგული აღჭურვილობა	5 წელი
• სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი
• იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არამატერიალური აქტივები მოიცავს საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს, რომელთა ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის მიხედვით 15%-იანი განაკვეთით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა: ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

საინვესტიციო ქონების შექმნასთან ან მოდერნიზაციასთან დაკავშირებულია ზოგიერთი სახის საქმიანობა, რომელიც აუცილებელი არ არის აქტივის დანიშნულების ადგილზე მისატანად, ან მის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ასეთ დამხმარე ოპერაციებთან/საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით შემცირებული ისტორიულ ღირებულებით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. სასარგებლო მომსახურების პერიოდი შეადგენს 25 წელს.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

შეკეთებასა და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება საოპერაციო ხარჯებში მათი გაწევისთანავე, თუ ისინი არ შეესაბამება კაპიტალიზებად დანახარჯებს.

შპს ელ არ ჯი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით და ისინი არა მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არა მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

სესხები

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანებით, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს და სესხებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვაზე მიღებული ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი. აღნიშნული კატეგორია გამოიყენება ძირითადად პროცენტიანი სესხების შემთხვევაში.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესების მიერ. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი ჯგუფის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა ჯგუფიზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა ჯგუფის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო ჯგუფის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული ჯგუფის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

ღივიდენდები

ღივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამომცხადებული ღივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შპს ელ არ ჯი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ამონაგები

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და ღირებულების გადახდების გარეშე.

საქონლის გაყიდვა

გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან ჯგუფს ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს გაყიდული საქონლის თვითღირებულებას, რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჩამოწერილია FIFO მეთოდის გამოყენებით. ასევე მარაგებთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს.

სადისტრიბუციო და მარკეტინგის ხარჯები

სადისტრიბუციო და მარკეტინგის ხარჯები მოიცავს გაყიდვებთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა რეკლამის ხარჯი, საწვავის და მივლინების ხარჯი, სადისტრიბუციო ქსელში გამოყენებული ავტომობილების ცვლის ხარჯებს და ხელფასის ხარჯს. ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას, რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

3. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე

შპს ელ არ ჯი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.

აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა

ძალაში სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

შენიშვნა 4 - ამონაგები	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	199 522	3 121
შემოსავალი იჯარიდან	8 505	1 310
გაყიდული საქონელის უკან დაბრუნება	(2 550)	(118)
სულ ამონაგები	205 477	4 313

შენიშვნა 5 - რეალიზაციის თვითღირებულება	2024	2023
გაყიდული/შეძენილი საქონელი	130 048	1 505
შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება	(1 971)	(22)
კომუნალური ხარჯები	534	83
პროგრამით საერგებლობის ხარჯები	38	6
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები	1 352	190
დაცვის ხარჯები	184	36
გადაზიდვის ხარჯები	140	59
სხვა ხარჯები	83	13
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	130 409	1 870

შენიშვნა 6 - დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასები	17 890	6
სარეკლამო ხარჯები	2 499	70
იჯარა	1 628	172
ტრანსპორტირების ხარჯები	1 178	13
მანქანის ტექ. მომსახურება	475	1
სხვა	1 594	-
სულ დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	25 263	262

შპს ელ არ ჯი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 7 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასები	9 964	408
დაზღვევის ხარჯები	999	18
უიმედო ვალების ანარიცხები	360	-
საიჯარო ქირა	448	-
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	3 059	35
ცვეთა და ამორტიზაცია	2 541	37
საბანკო ხარჯები	420	18
მივლინების ხარჯები	902	22
კომუნალური ხარჯები	2 965	25
საკანცელარიო ხარჯები	92	2
საკომუნიკაციო ხარჯები	152	2
რეგისტრაცია და ნებართვა	64	14
კორპორატიული ხარჯები	394	11
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	632	30
რეკლამის ხარჯები	82	-
დაცვის ხარჯები	72	12
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	1 679	86
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24 822	720

შპს ელ არ ჯი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	მარკეტინგული აღჭურვილობა	სხვა	დაქირავებული შენობების მოვლა- პატრონობა	სულ
ღირებულება 31/12/2022	-	-	-	-	-	-	-	-
დანამატები	-	1	211	150	-	404	6	772
შვილობილი კომპანიის შეძენა	-	703	2 746	285	-	507	13	4 254
აქტივების ჩამოწერა	-	(628)	(2 288)	(76)	-	(581)	-	(3 574)
ღირებულება 31/12/2023	-	76	669	359	-	330	19	1 453
დანამატები	171	58	251	1 376	786	769	384	3 793
შვილობილი კომპანიის შეძენა	160	181	4 422	1 126	2 522	24	18	8 453
აქტივების ჩამოწერა	-	(47)	(735)	(159)	(261)	(81)	-	(1 282)
ღირებულება 31/12/2024	331	267	4 607	2 702	3 047	1 042	421	12 417
დაგროვილი ცვეთა 31/12/2022	-	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა	-	41	63	77	-	48	13	243
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	(1)	-	(0)	-	-	-	(2)
დაგროვილი ცვეთა 31/12/2023	-	40	63	77	-	48	13	241
პერიოდის ცვეთა	10	96	774	478	928	102	32	2 419
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	(47)	(214)	(144)	(177)	(2)	-	(585)
დაგროვილი ცვეთა 31/12/2024	10	89	623	410	751	147	45	2 075
ბალანსი 31/12/2023	-	36	605	282	-	282	6	1 211
ბალანსი 31/12/2024	321	179	3 984	2 291	2 296	895	376	10 341

შპს ელ არ ჯი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 9 - საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობა	სულ
საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2022წ	-	-	-
შემოსვლა	50 353	22 293	72 646
გასვლა	-	-	-
საინვესტიციო ქონების ღირებულების ცვლილება	-	-	-
საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2023წ	50 353	22 293	72 646
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
საინვესტიციო ქონების ღირებულების ცვლილება	-	-	-
საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება 2024წ	50 353	22 293	72 646

შენიშვნა 10 - გრძელვადიანი ინვესტიციები

ნაშთი 2022 წლის ბოლოსთვის	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგების წილი	184
საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული დივიდენდი	-
ინვესტიციის შეძენა	20 000
ნაშთი 2023 წლის ბოლოსთვის	20 184
საანგარიშგებო პერიოდის მოგების წილი	3 240
საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული დივიდენდი	(248)
ინვესტიციის შეძენა	-
ნაშთი 2024 წლის ბოლოსთვის	23 177

ჯგუფის მეკავშირე საწარმოს წარმოადგენს სს „ლილო 1“, რომლის საქმიანობაც არის საოფისე და სასაწყობო, სავაჭრო ფართების გაქირავება და საბაჟო ტერმინალის მომსახურება. შპს „ელ არ ჯი“ ფლობს მოცემული კომპანიის 50%-იან წილის, რომელიც შეისყიდა 2023 წლის ოქტომბერში. აუდიტის ობიექტისთვის მეკავშირე საწარმოსგან მიღებული მოგების წილი 2024 წელს შეადგენს 3 240 ლარს, ხოლო 2023 წელს 184 ლარს, რომელიც მოიცავს 2023 წლის ბოლო სამი თვის მონაცემებს.

შენიშვნა 11 - გაცემული სესხები	2024	2023
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	9 688	-
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	3 081	-
საკრედიტო ზარალი:	(5 018)	-
სულ გაცემული სესხები	7 751	-

სესხების მოძრაობა საანგარიშო პერიოდში:

	2024	2023
1 იანვარს	-	-
გაცემული სესხები	12 769	-
გაცემული სესხების დაფარვა	-	-
მიღებული პროცენტი	(1 044)	-
საპროცენტო შემოსავალი	1 044	-
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(5 018)	-
31 დეკემბერს	7 751	-
გრძელვადიანი	779	-
მოკლევადიანი	6 972	-

შპს ელ არ ჯი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 12 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2024	2023
მზა საქონელი	38 049	4 594
საქონელი გზაში*	1 855	-
სხვა მარაგები	109	1
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	40 013	4 595

(*) - საქონელი გზაში წარმოადგენს მარაგებს, რომელთან დაკავშირებითაც ჯგუფზე გადმოცემულია ფლობის რისკი და სარგებელი, თუმცა 31 დეკემბრისთვის აღნიშნული მარაგები იმყოფება გზაში.

შენიშვნა 13 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაციიდან	48 942	1 122
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	907	-
გადახდილი ავანსები	923	1 477
შემცირება : გაუფასურების ზარალი	(4 220)	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	46 552	2 599

საანგარიშო პერიოდში სავაჭრო მოთხოვნებზე რეზერვების ცვლილება იყო შესაბამისი:

	31.12.2024	31.12.2023
1 იანვარი	-	-
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(4 220)	-
31 დეკემბერი	(4 220)	-

ჯგუფის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. ჯგუფი ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

ჯგუფი აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საეჭვო.

ჯგუფი იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით. ახალი მომხმარებლის მიღების წინ ჯგუფი აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიან მოთხოვნებს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოთხოვნები არ ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდით საწყისი აღიარების შემდგომ.

შენიშვნა 14 - ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში	96	4
ფული ბანკში	16 018	3 999
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	16 114	4 003

შენიშვნა 15 - სასესხო ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
მიღებული სესხები - გრძელვადიანი ნაწილი	8 117	10 513
მიღებული სესხები - მიმდინარე ნაწილი	1 244	337
სულ სასესხო ვალდებულებები	9 361	10 850

შპს ელ არ ჯი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული დაუფარავი სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვალიანობა	31.12.2024		31.12.2023	
				დოლარი	ექვივალენტი ლარი	დოლარი	ექვივალენტი ლარი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	11.75%	14/04/2025		11		40
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	13.25%	20/04/2026		124		199
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	14%	22/03/2024		-		13
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	10%	15/10/2024		-		111
სს "თიბისი ბანკი"	დოლარი	8%	12.10.2024		-	45	122
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	10.06%	19.12.2028		1 438		1 715
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	10.00%	25.02.2030		613		699
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	10.00%	08.04.2030		770		874
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	11.75%	12.11.2028		542		643
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	11.75%	21.04.2032		861		916
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	11.75%	28.12.2032		3 139		3 161
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	11.75%	07.11.2033		378		99
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	10.5%	01.03.2025		80		386
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	11.0%	18.12.2035		1 405		1 873
				-	9 361	45	10 850

შპს „სმარტ ვეარჰაუსის“, შპს „ქუთაისი ვეარჰაუსის“ და სს „ლელოს“ მიერ მიღებული საფინანსო სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით.

სესხების ცვლილება 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის იყო შემდეგი:

წმინდა დავალიანება 2022 წლის 1 იანვრისთვის

ძირის ათვისება	1 665
დარიცხული პროცენტი	89
გადახდილი ძირი	(1 913)
გადახდილი პროცენტი	(89)
სავალუტო კორექტირება	22
შვილობილის შეძენის კორექცია	11 075

წმინდა დავალიანება 2023 წლის 31 დეკემბერს 10 850

ძირის ათვისება	486
დარიცხული პროცენტი	42
გადახდილი ძირი	(1 982)
გადახდილი პროცენტი	(42)
სავალუტო კორექტირება	7
შვილობილის შეძენის კორექცია	-

წმინდა დავალიანება 2024 წლის 31 დეკემბერს 9 361

შენიშვნა 16 - სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	35 274	1 377
მიღებული ავანსები	1 796	586
გადასახდელი ხელფასები	1 757	-
წილის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულებები	162	69 000
სულ სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები	38 990	70 963

17. რისკის მართვა

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. ჯგუფის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და გაცემულ სესხებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ჯგუფმა დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. ჯგუფი ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადა გადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით.

საკრედიტო რისკი ფულად სახსრებზე შეზღუდულია, რადგან კონტრაგენტები არიან დადებითი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკები.

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024			31.12.2023		
	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები	48 942	(4 220)	44 722	1 122	-	1 122
გაცემული სესხები	12 769	(5 018)	7 751	-	-	-
ფული და ფულადი ექვივალენტები	16 114	-	16 114	4 003	-	4 003

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჯგუფის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად ჯგუფი ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება ჯგუფის საფინანსო განყოფილების მიერ. ჯგუფის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. ჯგუფი ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები.

შპს ელ არ ჯი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ლიკვიდრობის რისკი (გაგრძელება)

	ვალდებულება 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	31 დეკემბერი 2024 სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7 770	11 655	19 565	-	38 989
ნასესხები სახსრები	118	250	1 582	7 703	9 652
სულ ფინანსური ვალდებულებები	7 888	11 904.35	21 147	7 703	48 642
	ვალდებულება 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	31 დეკემბერი 2023 სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14 193	21 289	35 481	-	70 963
ნასესხები სახსრები	-	-	-	10 850	10 850
სულ ფინანსური ვალდებულებები	14 193	21 288.78	35 481	10 850	81 812

კაპიტალის რისკი

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემითა და კაპიტალის ზრდით.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფს არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს. ასევე ჯგუფი მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. მიუხედავად იმისა, რომ 2024 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ ჯგუფში წარმოქმნა ფინანსური მოგება და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დადებითი საკურსო სხვაობა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები არ შეიცავს რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
აშშ დოლარი	836	(40 598)	(39 763)	4 797	(42 185)	(37 388)
ევრო	790	(2 854)	(2 064)	1 809	(2 968)	(1 159)

შპს ელ არ ჯი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

	2024	2023
	გავლენა-მოგება ზარალზე	გავლენა-მოგება ზარალზე
აშშ დოლარის 20%-იანი გამყარება	(7 953)	(7 478)
აშშ დოლარის 20%-იანი გაუფასურება	7 953	7 478
ევროს 20%-იანი გამყარება	(413)	(232)
ევროს 20%-იანი გაუფასურება	413	232

18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა ჯგუფის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების, აგრეთვე, იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებების, სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

19. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ორგანიზაციის მიმდინარე სასამართლო დავები მოიცავს საქონლის მიწოდების ხელშეკრულებებით წარმოქმნილ დავებს, რომლის ჯამური ღირებულება არა არსებითია და გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

შპს ელ არ ჯი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;
(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.
თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან არსებული ოპერაციები მოიცავს მენეჯმენტზე გაცემულ ხელფასს, რომელიც 2024 წელში შეადგენდა 1 682 ათას ლარს ხოლო 2023 წელს 219 ათას ლარს

21. ჯგუფის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიცეს.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა 2025 წლის სექტემბერში და ფაქტია, რომ ჯგუფს საქმიანობა არ შეუწყვეტია და არც საქმიანობის მასშტაბი შეუმცირებია, წინა პერიოდების მსგავსად 2025 წელში ფიქსირდება შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა. ზემოთ აღწერილი ყველა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

22. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში ჯგუფში არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებით წარდგენას.

შპს “ელ არ ჯი“-ს

მმართველობითი ანგარიშგება

კონსოლიდირებული

შინაარსი

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა;
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები;
3. კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმოხილვა;
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ;
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ;
7. დამატებითი განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებში ასახული თანხების შესახებ
8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
9. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის თვალსაზრისით.

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა;

შპს “ელ არ ჯი“-მ (შემდგომში „კომპანია“) 2023 წლიდან დაიწყო ბიზნეს ოპერირება. მის საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კომპანიების მართვის, ადმინისტრირების და საკონსულტაციო მომსახურება. კერძოდ, მაგალითად შპს “ელ არ ჯი“-ს საქმიანობაში მოიაზრება ისეთი ტიპის მომსახურებები, როგორიცაა მიწოდების ჯაჭვის და გაყიდვების მართვა, ქონების მართვა, ფინანსური მართვა, ინვესტიციების და ახალი პროექტების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მარკეტინგული ღონისძიებების მართვა, სხვა საკონსულტაციო მომსახურება. დღეისათვის შპს “ელ არ ჯი“-ში დასაქმებულია 6 თანამშრომელი (2 ქალი და 4 კაცი), ხოლო “ელ არ ჯი“ ჯგუფში მთლიანად დასაქმებულია 998 თანამშრომელი (251 ქალი და 747 კაცი). კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს თბილისში.

2024 წლის განმავლობაში “ელ არ ჯი“ ჯგუფში (შემდგომში „ჯგუფი“) შედიოდა შემდეგი კომპანიები:

- შპს „შარმ ტრედიინგი“ 100% - სადისტრიბუციო კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერულ-კოსმეტიკური, ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია;
- შპს „გლობალ ტრეიდი“ 100% - სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერული, კოსმეტიკური, ჰიგიენისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის რეექსპორტი;
- შპს „იალონი“ 100% - ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობა იყო საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება; ამჟამად საქმიანობას აღარ ახორციელებს;
- შპს „იუ ეს ჯი“ 100% და შპს „ეიჩ სი ი“ 100% - ნულოვანი კომპანიები, რომლებიც ჯერჯერობით საქმიანობას არ ახორციელებენ;
- შპს „ეს ეიჩ კავკასია“ 86,67% - ახდენს საინვესტიციო საქმიანობას შვილობილ კომპანიაში;
- შპს „სი ენდ ეფი“ 75% - სადისტრიბუციო კომპანია სომხეთში, რომლის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერულ-კოსმეტიკური, ჰიგიენის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია;
- შპს „კანცენოვა“ 100% - კვიპროსული კომპანია, რომელიც ჯერჯერობით საქმიანობას არ ახორციელებს;
- შპს „ბი ემ სი შარმი“ 80% - კომპანია ახდენს სანტექნიკის იმპორტს და გაყიდვას თბილისისა და ბათუმის მაღაზია-სალონებიდან;
- შპს „სმარტ ვეარჰაუსი“ 88% - რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება;
- შპს „ქუთაისი ვეარჰაუსი“ 100% - რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება;
- სს „ლელო“ 50% - ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, სავაჭრო ფართების მოწყობა, გაქირავება. ასევე მომხმარებელს სთავაზობს საბაჟო საწყობში ტვირთების მიღება გადამუშავების მომსახურებას.
- სს „ლილო 1“ 50% - საბაჟო და სასაწყობო ტერმინალი. ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, სავაჭრო ფართების გაქირავება და საბაჟო ტერმინალის მომსახურება.

კომპანია მართავს სხვადასხვა ინდუსტრიებში მოქმედ კომპანიებს, რომელთა პორტფელში შემავალ სტრატეგიულ ბრენდებს მრავალწლიანი წარმატებული ისტორია აქვთ და იკავებენ სეგმენტების მნიშვნელოვან წილებს ზოგადად საერთაშორისო და მათ შორის საქართველოსა და სომხეთის ბაზარზე. თითოეული ამ ბრენდებიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელში და ორიენტირებულია ძირითადად საშუალო საფასო სეგმენტზე, რაც ზრდის პორტფელის საერთო შემოსავლიანობას. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს მარკეტინგის

საკვანძო ფუნქციებს: ბრენდინგს, რესტაილინგის სიახლეებს, სხვადასხვა ტიპის პრომო აქტივობებს. თითოეულ ბრენდს გააჩნია მკაფიოდ გამოხატული საკუთარი ხასიათი და პოზიციონირება.

2023 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 6 თანამშრომელი (2 ქალი და 4 კაცი), ხოლო შვილობილ კომპანიებთან ერთად 160 თანამშრომელი (50 ქალი და 110 კაცი).

2023 წლის განმავლობაში “ელ არ ჯი“ ჯგუფში (შემდგომში „ჯგუფი“) შედიოდა შემდეგი კომპანიები:

- შპს „ბი ემ სი შარმი“ 80% - კომპანია ახდენს სანტექნიკის იმპორტს და გაყიდვას თბილისისა და ბათუმის მაღაზია-სალონებიდან;
- შპს „სმარტ ვეარჰაუსი“ 88% - რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება;
- შპს „ქუთაისი ვეარჰაუსი“ 100% - რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, უძრავი ქონების გაქირავება;
- სს „ლელო“ 50% - ლოჯისტიკური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, სავაჭრო ფართების მოწყობა, გაქირავება. ასევე მომხმარებელს სთავაზობს საბაჟო საწყობში ტვირთების მიღება გადამუშავების მომსახურებას.
- სს „ლილო 1“ 50% - საბაჟო და სასაწყობო ტერმინალი. ძირითადი საქმიანობაა საოფისე და სასაწყობო, სავაჭრო ფართების გაქირავება და საბაჟო ტერმინალის მომსახურება.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები;

კომპანიის სამომავლო გეგმებში მოიაზრება ხელოვნური ინტელექტის და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების დანერგვა/ინვესტიცია სამომავლოდ საბოლოო მომხმარებლების მომსახურების გაუმჯობესების და შესაბამისად შემოსავლების გაზრდის და, ამავე დროს, ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესაძლოა გამოიწვიოს ხარჯების გაზრდა. ამისათვის შესამუშავებელია გეგმა, რომელიც სიახლეების დანერგვის კვალობაზე არა თუ არ გამოიწვევს ხარჯების ნახტომისებრ ზრდას, არამედ დასახავს ხარჯების შემცირების მდგრად ტენდენციას.

მოკლედ საქართველოში იმ მომავალზე ორიენტირებული ბიზნეს სფეროების ჩამონათვალის შესახებ, რომლებშიც საინტერესოა ინვესტირება და სერიოზულად უნდა იქნას აღქმული მომდევნო 3-7 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად:

1. ციფრული ეკონომიკა და ტექნოლოგიური ეკოსისტემა

- o საერთაშორისო კლიენტებზე მორგებული პროგრამული უზრუნველყოფა და ხელოვნური ინტელექტის სერვისები

- o SaaS ინსტრუმენტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (SMBs)

- o ფინტექ პლატფორმები (მაგ., ციფრული საფულეები, მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები)

- o კიბერუსაფრთხოების და IT აუდიტის სერვისები

- o B2B პლატფორმები რეგიონული ბაზრებისთვის (მაგ., სომხეთი, ყაზახეთი)

2. მწვანე და მდგრადი ბიზნესი

- o მზის პანელების დისტრიბუცია და მონტაჟი (საცხოვრებელი და სამრეწველო)

- o ორგანული და ეკო-სერტიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები

- o გადამუშავება და ნარჩენების მართვა (განსაკუთრებით ურბანულ რაიონებში)

- o ენერგოეფექტური სამშენებლო მასალები (იზოლაცია, ჰკვიანი განათება)

3. პრემიუმ კლასის ღვინისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მოდერნიზაცია

- o ღვინის ბრენდირება, ექსპორტი და ბუტიკ-სარდაფები

- o ხილის ექსპორტის ცივი ჯაჭვის ლოჯისტიკა

- o თხილისა და ჩაის გადამამუშავებელი ობიექტები (დამატებითი ღირებულება)

- o ექსპორტზე ორიენტირებული სათბურის კოოპერატივები

4. ჰკვიანი ტურიზმი და ადგილობრივი გამოცდილება

- o გამოცდილებითი ტურიზმი (მაგ., ფერმაში განთავსება, კულინარიული გაკვეთილები, საფეხმავლო გიდეები)

- o მაღალი ხარისხის, ნიშური სასტუმროები (ეკო-ლოჯები, გლემპინგი)

- o რეგიონული ტურიზმზე ორიენტირებული ციფრული დაჯავშნის პლატფორმები

- o ტურისტებისთვის ენის/კულტურის სკოლები

5. ციფრული ინფრასტრუქტურა და ელექტრონული კომერციის სერვისები

- o ელექტრონული კომერციის ლოჯისტიკა (ბოლო მილი, ლოკერები, ექსპრეს მიწოდება)

- o ონლაინ ბაზრები და ნიშური საცალო პლატფორმები

- o ფინტექ ინტეგრაციის ინსტრუმენტები (QR გადახდა, ონლაინ POS, მიკროსესხები)

o CRM, ანალიტიკა ან ინვენტარიზაციის ინსტრუმენტები ადგილობრივი საცალო ვაჭრობისთვის

6. სამშენებლო ტექნოლოგიები და ჭკვიანი უძრავი ქონება

o მოდულური საცხოვრებელი და წინასწარი მშენებლობა

o ჭკვიანი სახლები და უძრავი ქონება ენერგოეფექტურობით

o თანაცხოვრების ან ჰიბრიდული უძრავი ქონების მოდელები (ცხოვრება + მუშაობა)

o ციფრული ქონების მართვა და განახლებადი ენერგიის ბაზრები

7. ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ხანდაზმული მოსახლეობის ჯანმრთელობის მართვის გადაწყვეტილებები

o ველნეს რეტრიტები (განსაკუთრებით სპა-ბუნების შერწყმა)

o ხელმისაწვდომი კერძო კლინიკები (სტომატოლოგიური, თვალის, დიაგნოსტიკური)

o ბუნებრივი კანის მოვლის საშუალებები და ჯანმრთელობის დანამატები

o ხანდაზმულთა მოვლის სერვისები და სახლები თანამედროვე კეთილმოწყობით

3. კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მიმოხილვა;

2024 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე სახის კვლევებისა და განვითარების აქტივობაში.


4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ;

კომპანიას აქვს მხოლოდ სათაო ოფისი ქ.თბილისში ილია ჭავჭავაძის გამზ. N64ა - ში და არ გააჩნია ფილიალები.


5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;

ძირითადი ოპერაციული მაჩვენებლები

შპს „ელ არ ჯი“



შემოსავლიანობის ძირითადი მაჩვენებლები



კომპანიას გააჩნია ყველა საჭირო რესურსი ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შესანარჩუნებლად. ეს გარემოება დაადასტურა განვლილმა პერიოდმა, რადგან კომპანია (და მასთან აფილირებული პირები) ფუნქციონირებს ისეთ ბიზნესში, რომელიც საკმაოდ მაღალი მოთხოვნადობით ხასიათდება სამომხმარებლო ბაზარზე. კომპანიამ მოძებნა ღირებულების გაზრდის გზები ინდუსტრიაში კონკურენტულობის შესანარჩუნებლად ეს მიდგომა ბიზნესს საშუალებას აძლევს იმოქმედოს ინფორმირებულად და მიზანმიმართულად. ის კომპანიებს ეხმარება დროულად ამოიცნონ რისკები, გაანალიზონ ბაზრის ტენდენციები და მიიღონ მონაცემებზე დაფუძნებული, სტრატეგიული გადაწყვეტილებები.

კომპანიის ბიზნესის სფერო მოითხოვს ახალ აზროვნებას – ღირებულებაზე, მონაცემებზე და ხედვაზე დაფუძნებულ მიდგომას. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი CVO (Chief Value

Officer) აუთოსრსინგის სისტემა ბიზნესისთვის აკავშირებს გლობალურ გამოცდილებას არსებულ რეალობასთან და ქმნის ნამდვილი ღირებულების საფუძველს.

კომპანია ფოკუსირებულია მისი შვილობილი ორგანიზაციების მთლიანი ღირებულების მაქსიმიზაციაზე, რაც მოიცავს არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ არაფინანსურ ასპექტებს, როგორცაა მომხმარებლის კმაყოფილება, ბრენდის ღირებულება, ინოვაციები, თანამშრომლების ჩართულობა და გრძელვადიანი სტრატეგიული ზრდა.

ძირითადი მოვალეობები:

- შვილობილი ორგანიზაციების ღირებულების ზრდის სტრატეგიების შემუშავება.
- მომხმარებლის გამოცდილების გაფართოება.
- ESG (გარემო, სოციალური პასუხისმგებლობა, მმართველობა) პრინციპების გათვალისწინება/სინერგია კომპანიების ოპერაციულ საქმიანობასთან.
- ინოვაციებისა და გრძელვადიანი ზრდის ხელშეწყობა.

ფოკუსი: ორგანიზაციის ღირებულების ჰოლისტიკური ზრდა, რომელიც მოიცავს ფინანსურ, სოციალურ და რეპუტაციულ ასპექტებს.

მაგალითი: კომპანია შეიძლება მუშაობდეს იმაზე, თუ როგორ გაზარდოს შვილობილი კომპანიების ბრენდის ღირებულება ან მომხმარებლის ლოიალობა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ფინანსურ სარგებელს მოიტანს.

6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ;

კომპანიას არ გააჩნია საკუთარი აქციები.

7. დამატებითი განმარტებები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული თანხების შესახებ

ანგარიშგებაში ასახული მონაცემები გვაჩვენებს შვილობილი კომპანიების შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მათი ფუნქციონირების ეფექტურობას იმ პირობებში, როდესაც კომპანია კონცენტრირებულია უშუალოდ ოპერაციულ საქმიანობაზე, ხოლო ამ საქმიანობის სწორად წარმართვას უძღვება კომპანია „ელ არ ჯი“ და ამ ორი მხარის მუშაობა ერთობლიობაში იძლევა სინერგიული ეფექტის შესატყვის შედეგს.

კომპანიის მუშაობა ემსახურება კონკურენტული უპირატესობის შექმნას, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას შესთავაზოს ინდუსტრიაზე მორგებული გადაწყვეტილებები. შედეგად, სეგმენტაციის ბაზაზე გამოწვეული ბაზრის დიფერენცია არა მხოლოდ ზრდის მომხმარებელთა ლოიალობას, არამედ აძლიერებს კომპანიის პოზიციას ინდუსტრიაში.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;

კომპანია თავისი საქმიანობის პროცესში შეიძლება აღმოჩნდეს პოტენციური რისკების წინაშე, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მის ფინანსურ შედეგებზე და ამგვარად ხელი შეუშალოს სტრატეგიული ამოცანების დაგეგმილ დროში მიღწევას. ამიტომ კომპანიამ შეიმუშავა რისკების შემცირებისათვის აუცილებელი ზომები:

1. კომპანიის (ჯგუფის) ფინანსური სტაბილურობის გაზრდა
2. კომპანიის (ჯგუფის) ღირებულების დაკარგვის შესაძლებლობის შემცირება
3. დამფუძნებლების მიერ საკვანძო რისკების კონტროლი და მართვა
4. კომპანიის (ჯგუფის) ოპერაციების სტაბილურობის უზრუნველყოფა

კომპანია რისკების მინიმიზაციის მიზნით სისტემატურად აკონტროლებს თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. კომპანია დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის, ლოგისტიკური მართვის სისტემის სრულყოფის, მარკეტინგული აქტივობების ეფექტურობის გაზრდის, მოქნილი საფასო პოლიტიკის შემუშავების, ახალი ბრენდების მოზიდვის მიზნით.

კომპანია (ჯგუფი) განიხილავს პოტენციურ რისკებს ოთხი მიმართულებით:

1. საბაზრო და მაკროეკონომიკური - კომპანიის საქმიანობის სფეროში კონკურენცია მაღალია, რასაც განაპირობებს არა მარტო მსგავსი დანიშნულების პროდუქციის, არამედ მეზობელი ქვეყნების ბაზრებისათვის განკუთვნილი ადგილობრივი წარმოების ანალოგიური ბრენდების პროდუქციის შეთავაზება მომხმარებლისათვის კონკურენტულ ფასებში. კომპანია ამ გამოწვევას სხვადასხვა ტიპის პერმანენტულ მარკეტინგულ აქციებს უპირისპირებს.
2. ფინანსური - ამ მიმართულებითაც კომპანიის რისკები მინიმალურია, რადგან მოზიდული საბანკო სახსრები ლარშია აღებული საბაზრო მინიმალური პროცენტის პირობებში. ამიტომ ლარი/დოლარი/ევროს ფარდობის მცირე ვოლატილობის კოეფიციენტი კრედიტორული დავალიანების დაფარვისათვის მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს.
3. იურიდიული/ფისკალური - გადასახადების (საბაჟო, შემოსავლების სამსახური) სტაბილურობა და განჭვრეტადობა საშუალო ვადიან პერსპექტივაში, სსკ-ს ახალი „ესტონური“ მოდელის პირობებში, ასევე რისკების მინიმიზაციის ფაქტორია.
4. ოპერაციული - კომპანიას თავისი შეთავაზების პორტფელში აქვს მომხმარებლისათვის კარგად ცნობადი და მაღალი რეპუტაციის მქონე ბრენდები, რომელიც ძირითადად

ყველაზე დიდ - საშუალო საფასო სეგმენტს მოიცავს და გამოირჩევა პროდუქციის ხარისხისა და ფასის ოპტიმალური თანაფარდობით/პარიტეტით. ამიტომ, დიდი კონკურენციის მიუხედავად, გააზრებული და სწორად დაგეგმილი სტრატეგიის პირობებში, რომელიც პირველ რიგში მაღალკვალიფიციურ პერსონალსა და გამართულ ლოჯისტიკას ეყრდნობა, ოპარაციული რისკები მინიმალურია.

დირექტორი

ს.მამუჩიშვილი

11.09.2025

ყველაზე დიდ - საშუალო საფასო სეგმენტს მოიცავს და გამოირჩევა პროდუქციის ხარისხისა და ფასის ოპტიმალური თანაფარდობით/პარიტეტით. ამიტომ, დიდი კონკურენციის მიუხედავად, გააზრებული და სწორად დაგეგმილი სტრატეგიის პირობებში, რომელიც პირველ რიგში მაღალკვალიფიციურ პერსონალსა და გამართულ ლოჯისტიკას ეყრდნობა, ოპერაციული რისკები მინიმალურია.

დირექტორი



ს.მამუჩიშვილი

11.09.2025